

ტექნიკური დავალება

500 კვ ეგხ „ქართლი-2“-ის №380÷№387 ფოლადის ანძების ანტიკოროზიული დაცვის სამუშაოების განხორციელებაზე.

ანტიკოროზიული დაცვა განსახორციელებელია 500 კვ ეგხ „ქართლი-2“-ის №380÷№387 (8 ანძა) ფოლადის ანძებზე (კასპის მუნიციპალიტეტებში). ანძები დანომრილია დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით.

სულ შესაღებია 2 ც საანკერო-კუთხური და 6 ც შუალედური ანძა. მათი ტიპები და რაოდენობები: ЦУТ ტიპის - 2 ანძა, ПОЕМ ტიპის - 6 ანძა

სადენების დაკიდების სიმაღლე: ЦУТ ტიპის ანძაზე - 17 მეტრს და ПОЕМ ტიპის შუალედურ ანძაზე საძირკვლის თავის ნიშნულიდან შეადგენს 27 მეტრს. მეხდამცავი გვარლის დაკიდების სიმაღლეებია: ЦУТ-ზე 22 მ, ПОЕМ -ზე - 33,22 მ.

ანძების ძირითადი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში, შუალედური ანძების წონაში არ შედის საჭიმი სამაგრებისა და ღუზებზე მათი ჩამაგრების სხმული დეტალების წონები.

სამუშაოს შესრულების ვადა:

- 07.05.26 დან 27.05.26-ის ჩათვლით 500 კვ ეგხ „ქართლი-2 იქნება შეკეთებაში, რა დროსაც უნდა შესრულდეს ფოლადის ანძების ტრავერსების, გვარლის სადგარების და კონსოლების ანტიკოროზიული დაცვის სამუშაოები.

- 28.05.26 დან 06.10.26-ის ჩათვლით პერიოდში (ეგხ არ იქნება შეკეთებაში და იქნება ძაბვის ქვეშ) უნდა შესრულდეს ფოლადის ანძების დგარების ანტიკოროზიული დაცვის სამუშაოები.

ანტიკოროზიული დაცვის სამუშაოების ძირითადი ეტაპებია:

- შენაღებ ანძებზე ძველი გრუნტისა და საღებავის მოცილება, ანძების ელემენტების გარე და შიდა ზედაპირების გაწმენდა ჟანგისაგან;
- გაწმენდილი ზედაპირების დაგრუნტვა;
- დაგრუნტული ზედაპირის შეღებვა ანტიკოროზიული საღებავით;
- შეღებილ ანძების დგარებზე ეგხ-ს დასახელებისა და ნუმერაციის დატანა.

გრუნტი და ლაქ-საღებავი უნდა წარმოადგენდეს ერთმანეთთან თავსებად ორკომპონენტურ მასალებს.

გრუნტის და საღებავის მასალების თავსებადობა უნდა დადასტურდეს მწარმოებლის შესაბამისი სერთიფიკატით. წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე გამოყენებული მასალების წარმოშობისა და ხარისხის სერთიფიკატები.

გრუნტის ფენის სისქე უნდა იყოს არაუმცირეს 40 მკმ-სა, საღებავის ფენისა - არა უმცირეს 100 მკმ-სა.

შუალედური ანძების ტრავერსები გვარლის სადგარებით, საანკერო-კუთხური ანძების გვარლის სადგარები და კონსოლები იღებება წითელი ფერის საღებავით. ამ სამუშაოს შესრულების პროცესში ეგხ ჩაყენებული იქნება შეკეთებაში 21 დღის განმავლობაში (დამე ჩართვის პირობით). ანძების დგარები უნდა შეიღებოს თუთიისფერი საღებავით. დგარების

დაგრუნტვა და შეღებვა სადენის დაკიდების ღონიდან 3 მეტრის ქვევით უნდა შესრულდეს ეგხ-დან ძაბვის მოუხსნელად.

ანძების გაწმენდის, დაგრუნტვისა და შეღებვის სამუშაოები უნდა შესრულდეს ზევიდან ქვევით, ტრავერსებზე მუშაობისას (ეგხ-ს შეკეთებაში ყოფნის პერიოდში) იზოლატორების გირლანდების შესაბამისი დაცვის მოწყობით.

ეგხ-ს შეკეთებაში ყოფნის პერიოდი წინასწარ შეთანხმებულია ეროვნულ სადისპეტჩერო ცენტრთან.

მიმწოდებელმა სამუშაოთა წარმოების გრაფიკი და მომუშავეთა ბრიგადების რაოდენობა უნდა განსაზღვროს ზემოაღნიშნული პირობების გათვალისწინებით.

ანტიკოროზიული დაცვის მედეგობის გარანტია - არანაკლებ 7 წელი.

სამუშაოზე დასაქმებული პერსონალის შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია კონტრაქტორი (მიმწოდებელი) ორგანიზაცია, რომლის პერსონალი უნდა ფლობდეს შრომის უსაფრთხოების ტექნიკისა და ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკის წესებს, ასევე პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესებს. მიმწოდებელს პასუხისმგებლობა ეკისრება სამუშაოთა ზედამხედველობაზე და გარემოსდაცვითი ღონისძიებების - გრუნტის, საღებავის, გამხსნელის, ძონებისა და სხვა დამხმარე მასალების ნარჩენების შეგროვება - უტილიზაციის განხორციელებაზე (საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).